

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს

აკადემიური პოზიციების დასაკავებლად

1. კონკურსი ცხადდება შემდეგ მიმართულებებზე:

1.1 **სისხლის სამართალი - ასოცირებული**

პროფესორი;

1.2 **არქიტექტურა და დიზაინი - ასისტენტ**

პროფესორი.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

სისხლის სამართლის მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის

კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და

პედაგოგიური/პრაქტიკული/კვლევითი მუშაობის არანაკლებ 8 წლის

გამოცდილება; ასევე

- შესაბამის სფეროში საერთაშორისო სამეცნიერო-საგრანტო პროექტებში მუშაობის და კვლევების მიმართულებით თეორიული და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება;
- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება ისეთ საგნებში როგორცაა: სისხლის სამართლის პროცესი; სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი.
- ინგლისური ენის ცოდნა.

2.2. ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

არქიტექტურა და დიზაინის მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის

კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და

პედაგოგიური/პრაქტიკული/კვლევითი მუშაობის არანაკლებ 5 წლის

გამოცდილება; ასევე

- შესაბამის სფეროში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 5 წლისა;
- მულტი-დისციპლინარული ცოდნა და გამოცდილება;
- განხორციელებული პროექტები;

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება ისეთ საგნებში როგორცაა: დიზაინის პროგრამები; არქიტექტურული პროექტირების სტუდია.
- ინგლისური ენის კარგი ცოდნა.

3. განცხადებების მიღება იწარმოებს **2022 წლის 23 მაისიდან - 2022 წლის 26 მაისის ჩათვლით.**

4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

- 4.1. ბიოგრაფია (CV);
- 4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
- 4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
- 4.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- 4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
- 4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი -

<https://form.jotform.com/221102045375443>

6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2022 წლის 27 მაისიდან - 2022 წლის 31 მაისის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2022 წლის 1 ივნისიდან - 2022 წლის 6 ივნისის ჩათვლით.**

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე.

9. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი

ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@freeuni.edu.ge